



**საია საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ლიდერის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის გამო პარტიების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივას უარყოფითად აფასებს**

# **საია საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ლიდერის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის გამო პარტიების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივას უარყოფითად აფასებს**

საიამ პარლამენტს საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე დასკვნა წარუდგინა. ინიციატივა ითვალისწინებს საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას იმ სუბიექტისათვის, რომლის წინასაარჩევნო კამპანიაში პოლიტიკური ლიდერის რანგში მონაწილეობს პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს კონსტიტუციით დადგენილ რომელიმე ცენზს.

პარტიების თავისუფლების შემზღვეველი ნორმები მოითხოვს სიზუსტის და განჭვრეტადობის იმაზე მკაცრ ტესტს, ვიდრე ეს სხვა, არაპოლიტიკურ გაერთიანებებთან მიმართებით გამოიყენება. აუცილებელია, რომ დარღვევისთვის შერჩეული

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პასუხისმგებლობის ზომა იყოს შემაკავებელი, პროპორციული და დარღვევასთან უშუალოდ დაკავშირებული. პარტიისთვის საარჩევნო რეგისტრაციის უალტერნატივო წესით გაუქმება ასეთი არ არის.

საია მოუწოდებს პარლამენტს, არ დაუშვას პოლიტიკური გაერთიანებების ბლანკეტური, არაპროპორციულად შემზღუდველი, დაუსაბუთებელი და თვითნებურად მათი გზიდან ჩამოშორების საფრთხის შემცველი ნორმების გაჩენა კოდექსში და არ მიიღოს ეს კანონპროექტი.

უფრო დეტალურად იხილეთ დასკვნა.